

ლექსიკონი და ქართულ-იტალიური ანბანი ლოცვებითურთ. ლექსიკონის შემდგენლები იყვნენ თვით ნიკოლოზი და სტეფანე პაოლინი. ეს იყო პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი. 1643 წ. იქვე დაბეჭდა ქართული გრამატიკა.

შემდგომში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა იმერეთში (მეფე ალექსანდრესთან), სამეგრელოში (ლევან II დადიანთან). 1643—1649 წწ., როგორც უკვე ვთქვით, იერუსალიმის ჯვრის მამა იყო. 50-იან წლებში ისევე სამშობლოშია და აქტიურად მონაწილეობს ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ღონისძიებაში, უცვლელი მონაწილეა უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიღებათა ცერემონიალისა თუ მათთან მოლაპარაკებისა. სიცოცხლის ბოლოს ნიკოლოზი დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გახდა, თუმცა ამ პოსტზე დიდხანს არ უღვაწია და 1657 თუ 1658 წელს გარდაიცვალა.

საქართველოში პირველი სტამბა 1709 წ. დაარსდა, რის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.



## 2. მსახურული ლიტერატურა

XVI—XVII სს. ქართული ლიტერატურა კლასიკური პერიოდის ტრადიციებს ეყრდნობოდა. ახალი ნიშნებიდან, რომლებიც „მცირე აღორძინების“ ხანის ქართულ მწერლობას ახასიათებს, უნდა აღინიშნოს ეროვნული თემატიკის გაფართოება, რეალიზმის ელემენტები, ახალი ჟანრებისა და ფორმების დამკვიდრება, საერო პოეზიის გაძლიერება, პოეზიის უპირატესობა პროზასთან შედარებით.

ეროვნული თემატიკის დამუშავება, პირველ რიგში, ყიზილბაშთა და თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას უკავშირდებოდა. იქმნება თხზულებები, რომელთა მიზანი უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის იდეური უზრუნველყოფა იყო. სწორედ ასეთი ხასიათისაა ბაგრატ ბატონიშვილის (მუხრანბატონის) ანტიმაჰმადიანური თხზულება „მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთთა ისმაილთაჲ“.

ბაგრატ ბატონიშვილი ქართლის მეფის კონსტანტინე II (1479—1505 წწ.) უმცროსი ვაჟი იყო. 1512 წ. თავისი ძმის, მეფე დავით X მან საუფლისწულოდ მიიღო მუხრანი, „აღაშენა ციხე მტკვრისა, რომელ არს ციხის-ძირის თავსა, და დადგა მუნ“. ამით ბაგრატმა საფუძველი ჩაუყარა სამუხრანბატონოს და ბაგრატიონთა მუხრანის შტოს.

1539 წ. ბერად აღიკვეცა და ეწოდა ბარნაბე. როგორც ჩანს, ამის შემდეგ დაწერა მან ზემოთ დასახელებული თხზულება. ლიტერატურული თვალსაზრისით იგი საკმაოდ მდარე ნაწარმოებია, მაგრამ დიდად პოპულარული გამხდარა თავისი სულსიკვეთების გამო. მასში განქიქებულია ყურანი და მაჰმადიანური რჯული, მის საპირისპიროდ განდიდებულია ქრისტიანობა და ქართული ქრისტიანული კულტურა. „უკეთუ გარქუას ვ'დ შენ ვნაჲ გაქუს წიგნები იგი, რომელ არ ხარ ისრაილი, არცა ბერძენი, არცა ასური, არცა ჰარაბი, არამედ ქართუელი, მიუფე მას, რაოდენიცა ჩუენი ქუეყნისანი სასწაულმოქმედნი პირველ მოჰამედისა იყუნეს“, — ჩააგონებს ბაგრატი თანამემამულეებს. მის ნაწარმოებს მნიშვნელობა არც მომდევნო საუკუნეში დაუკარგავს. გიორგი XI ბრძანებით იგი გალექსა იაკობ დუმბაძემ.

XVI—XVII სს. ქართულ კულტურაში, განსაკუთრებით — ლიტერატურაში აშკარად იჩენს თავს ირანული გავლენა. შესაბამისად, ძლიერდება მის წინააღმდეგ ბრძოლაც, რომელიც კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვა-აღორძინების გზით მიმდინარეობს. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ბევრი გამგრძელებელი და მიმბაძველი გამოუჩნდა. XVI—XVII სს. ჩამოყალიბდა „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა მთელი ციკლი, რომელთა ავტორები იყვნენ მანუჩარ მწერალი, იოსებ თბილელი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და სხვ.

XVI—XVII სს. ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საგმირო ეპოსს. მისი ნიმუშია „როსტომიანი“ — ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ნაწილი, რომელიც XVI ს. პირველ ნახევარში გალექსა სერაპიონ საბაშვილმა (კედელაურმა), შემდეგ კი გააგრძელა ხოსრო თურმანიძემ. მათთვის ძირითადი წყარო იყო „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზაული ვერსიები, რომლებიც მომდინარეობდა ამ ნაწარმოების გვიანდელი XIV—XV სს.) ჩანართებიანი ტექსტიდან. „როსტომიანი“ ქართული, და საერთოდ, ქრისტიანული ელემენტებითაა გაუღენთილი. მიუხედავად რუსთაველის ძლიერი გავლენისა, საბაშვილმა შეძლო ორიგინალობის შენარჩუნება და სპარსული ეპოსის მარჯვედ გადმოქართულება.

ირანულ ლიტერატურაში „შაჰ-ნამეს“ ბევრი მიმბაძველი ჰყავდა, რომელთაც განაგრცეს ეს თხზულება მისი გმირების წინაპართა და შთამომავალთა საგმირო თავგადასავლებით. ეს ნაშრომებიც გადმოქართულებათ.

*ქართველ კლასიკურულ ლიტერატურაში* 299

XVII ს. მეორე ნახევარში ძმებმა სულხან და ბეგთაბეგ თანია-  
შვილებმა გალექსეს „ამირანდარეჯანიანის“ პროზაული ტექსტი. ეს  
საქმე სულხანმა დაიწყო, გალექსა სამი კარი, ყოველ კარს დაურთო  
შესავალი, სადაც ჩამოყალიბებულია მისი შეხედულებანი მიჯნურო-  
ბაზე, მელექსეობაზე. სულხან თანიაშვილი რუსთაველის და თეიმუ-  
რაზ I გავლენას განიცდიდა. მას ვერ მოუსწრია ნაშრომის დასრუ-  
ლება, მისი გარდაცვალების შემდეგ ეს საქმე ბოლომდე მიუყვანია  
მის ძმას ბეგთაბეგ თანიაშვილს, რომელმაც გალექსა ცხრა კარი, და-  
ურთო შესავალი (სარწმუნოებრივი შინაარსის) და ბოლოსიტყვა, აგ-  
რეთვე განაგრძო ტექსტი ცალკეული სტროფებით.

ზღაპრული პროზის შესანიშნავი ნიმუშია „რუსუდანიანი“ — ერ-  
თმანეთთან შინაარსობრივად და იდეურად დაკავშირებული თორმეტი  
ზღაპრის კრებული, რომლისთვის ძირითადია ეროვნულ-პატრიოტუ-  
ლი მოტივი. იგი გვიხატავს ირანელთა ძალმომრეობით შევიწროებუ-  
ლი ქართველი ხალხის მძიმე ცხოვრებას. ნაწარმოებში დაგმობილია  
სულმოკლეობა, გულგატეხილობა, გამოსჭვივის რწმენა, რომ ყველა  
განსაცდელი დაიძლევა და ჭირი ღვინით შეიცვლება.

XVI—XVII სს. ქართველი პოეტებიდან უნდა დავასახელოთ თეი-  
მურაზ I, ფეშანგი ხითარაშვილი, არჩილი და იოსებ თბილელი (საა-  
კაძე).

თეიმურაზ I (1589—1663 წწ.) ალექსანდრე II კახთა მეფის შვი-  
ლიშვილი, კახთა მეფე დავითისა და ქეთევან დედოფლის მემკვიდრე  
იყო. ლიტერატურული ნიჭი, ალბათ, მამისაგან დაპყვა — დავითმა  
პირველმა დაიწყო „ქილილა და დამანას“ თარგმნა. თეიმურაზმა რა-  
მდენიმე წელი დაპყო ირანში, შაჰ აბასის კარზე, სადაც დაეუფლა  
სპარსულ და თურქულ ენებს, საფუძვლიანად გაეცნო ირანულ ლიტე-  
რატურას და მისი დიდი თავყვანისმცემელიც გახდა. ჩვენს ისტორია-  
ში არ მოიძებნება მეფე, რომელსაც თეიმურაზივით ხანგრძლივად  
ემეფოს (1606—1663 წწ.) და მასავით ბევრჯერ დაეკარგოს და კვლავ  
მოუპოვებინოს ტახტი. მისი პოლიტიკური და პირადი ტრაგედია ირა-  
ნთან შეურიგებელი ბრძოლით იყო განპირობებული. ამ ბრძოლას ემ-  
სხვერპლნენ მისი დედა და შვილები, მისი სამეფოს მოსახლეობის  
დიდი ნაწილი. თეიმურაზმა მრავალი გზა მოსინჯა ირანის წინააღმ-  
დეგ დახმარების მისაღებად, მაგრამ არც ერთმა არ გაუმართლა. ის-  
ტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, „ბატონს თეიმურაზს  
ყველგნით ღონე მოელო, აღარც წასასვლელი გზა, არც ასაყრელად

ცხენი და ჯორი, აღარც მოხელე და მოსამსახურენი, კახნიც ქართ-  
ველთ მისვლოდეს და როსტომს ბატონის თეიმურაზის დაჭირვას ეპა-  
ტიეებოდნენ“. ბერად აღკვეცილმაც კი ვერ პოვა სიმშვიდე სამშობ-  
ლოში და იძულებული იყო წასულიყო ირანს, რომლის წინააღმდეგ  
ბრძოლას მთელი სიცოცხლე და უზარამზარი მსხვერპლი შესწირა.  
1663 წელს იგი ირანის ტყვეობაში გარდაიცვალა. ანდერძის თანახ-  
მად, მისი ნეშტი ასტრახადიდან საქართველოში ჩამოასვენეს და ალა-  
ვერდში დაკრძალეს.

თეიმურაზმა ვრცელი და უანრულად მრავალფეროვანი ლიტერა-  
ტურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. „თეიმურაზი მნოშენელოვანი  
მოვლენაა ქართული პოეზიის ჰორიზონტზე. იმდენად დიდია მისი სა-  
ხელი, როგორც პოეტისა, რომ იშვიათია აღორძინების ხანის ისეთი  
მელექსე, რომელიც რუსთაველის სახელთან ერთად მის სახელსაც  
არ ახსენებდეს“, — აღნიშნავდა კ. კეკელიძე.

თეიმურაზს დიდი წვლილი მიუძღვის ისეთი ლიტერატურული უა-  
ნრების დამკვიდრებაში, როგორიცაა ლირიკული პოეზია, ისტორიუ-  
ლი პოემა, ანბანთქება, მაჯამა. ირანის პოლიტიკური და სარწმუნოე-  
ბრივი შემოტყვის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი, იგი მთელი  
არსებით ეტრფოდა სპარსულ კულტურას, კერძოდ, პოეზიას, რომელ-  
მაც დიდი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე. „სპარსთა ენისა სი-  
ტკბომან მასურვა მუსიკობანი“, — ამბობდა თეიმურაზი. „რამდენა-  
დაც ის სპარსეთის შეურიგებელი მტერი იყო პოლიტიკაში, იმდენად  
ლოიალურად იყო განწყობილი სპარსული პოეზიისადმი“, — წერდა  
კ. კეკელიძე. ამავე დროს, იგი ქართული პოეტური ტრადიციის გაქ-  
მეგობრებელია. მას ეკუთვნის, ერთი მხრივ, ორიგინალური, მეორე  
მხრივ, სპარსულიდან გადმოკეთებული თხზულებანი. მან გადმოიღო  
და დაამუშავა ცნობილი რომანტიკული სიუჟეტები: „ვარდულბული-  
ანი“, „შამიფარვანიანი“ („სანთელი და პეპელა“), „ლეილმაჯნუნია-  
ნი“, „იოსებზილიხანიანი“. აქედან პირველი ორი თავისუფლად გად-  
მოკეთებული და გაქართულებულია, დანარჩენ ორში კი მკაფიოდ იგ-  
რძნობა დამოკიდებულება სპარსულ წყაროებზე. „უწყის ღმერთმან,  
ყველა ვთარგმნე, რაც სპარსთაგან მომესმინა“, — აცხადებს თეიმუ-  
რაზი.

პოეტის ორიგინალური ნაწარმოებებიდან „გაბაასება გაზაფხუ-  
ლისა და შემოდგომისა“, „გაბაასება ღვინისა და ბავისა“ სპარსული  
„მუნაზარეს“ (გაბაქერება) ჟანრს უკავშირდება. ლირიკულ ლექსთა

კრებულია „მაჯამა“ (აქ შედის „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“-ც); ამ ლექსების ძირითადი ნიშანია ომონიმური რითმა, მთავარი მოტივები კი — სოფლის ამარუნა, სოფლის სამღურავი, სიყვარული — ხსნის გზა. აქ გამოვლინდა სიტყვის ფლობის დახვეწილი ხელოვნება, რამაც, გარკვეული თვალსაზრისით, განსაზღვრა ქართული პოეზიის შემდგომი განვითარება.

სევდიანი გულწრფელობით და უშუალობითაა დაწერილი პატრიოტული ლექსები „გრემის სასახლეზე“ და „თამარის სახე დავით გარეჯას“. სასულიერო თემაზეა შექმნილი „შვიდთა კრებათათვის“ და „ანბანთქებანი“.

როგორც აღვნიშნეთ, თეიმურაზმა საფუძველი ჩაუყარა ისტორიული პოემის ჟანრს ჩვენს ლიტერატურაში და ამით დასაბამი მისცა ეროვნული თემატიკის დამუშავებას. პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ ისტორიული სიზუსტით გადმოგვცემს შაჰ აბასის გამანადგურებელ ლაშქრობებს კახეთში და ქეთევანის მოწამეობრივ სიკვდილს. ნაწარმოების მიზანია, ერთი მხრივ, მტრის სახის ჩვენება, მისადმი შეურბეგებლობისა და დაუმორჩილებლობის განწყობის შექმნა, მეორე მხრივ — ქეთევანის, როგორც ერისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული გმირის დახატვით მაგალითის ჩვენება უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული თანამემამულეებისათვის.

თეიმურაზის შემოქმედება მკაფიო ნიმუშია იმისა, რომ „თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა მაჰმადიანთა სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველსპარსთა სულიერ ერთობასა ქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა“ (ივ. ჯავახიშვილი).

ფეშანგი ხითარიშვილი (ფაშვიბერტყაძე) ეროვნებით (თუ სარწმუნოებით) გორელი სომეხი, ვაჭართა წრიდან გამოსული მწიგნობარი, ქართლის მეფეთა კარის პოეტი იყო. XVII ს. 60-იან წლებში დაწერა ისტორიული ხასიათის პოემა „შაჰნავაზიანი“, რომელშიც აღწერილია და ხოტბაშესხმულია — ვახტანგ V (შაჰნავაზ I) და მისი ძის — არჩილის მოღვაწეობა. ვახტანგ V მეფობა პოეტს იდეალურად ესახება, მის ძირითად მომენტად კი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა მიაჩნია. პოემა დაწერილია თექვსმეტმარცვლიანი რუსთველური შაირით. შეინიშნება თეიმურაზ I და „როსტომიანის“ გავლენაც. როგორც არჩილისაგან ვიგებთ, ფეშანგის გაუღუქსავს სპარსულიდან

სათარგმნი პროზაული ძეგლი „ფირმალიანი“ (იგივე „მორჭმა-დიდებით ცხოვრება და მოქალაქეობა ხელმწიფისა ფირმალისა და ძისა მისისა აბულ-ისაყისა“) — სადევემბრო ხასიათის ზღაპარი, რომელიც მოგვითხრობს მეფე ფირმალის ძის აბულ-ისაყის თავადასავალს. ფეშანგის გაუღუქსილ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია.

არჩილი (1647—1713 წწ.) ვახტანგ VI ძე იყო, საფუძველიანი და მრავალმხრივი განათლების მქონე. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, „იყო კეთილად წიგნისა ორისავე — ქართლისა და რუსულისა სწავლული და მთარგმნელი“. თოთხმეტი წლის არჩილი მამამ იმერეთში გაამეფა, მაგრამ მალე, ოსმალეთის მოთხოვნით, იძულებული გახდა უკანვე გამოეწვია. 1664 წ. კახეთის მეფე გახდა, მაგრამ, ირანის წყალობით, მალე მისი დატოვებაც მოუხდა. შემდგომში რამდენჯერმე სცადა იმერეთის ტახტზე დაპყვადრება, მაგრამ უშედეგოდ. 1682 წ. არჩილი პირველად გაემგზავრა რუსეთში, 1699 წ. კი საბოლოოდ დაპყვადრდა მოსკოვის მასლობლად, სოფ. ვსესნვიატსკოეში და კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობას შეუდგა. მის ირგვლივ თავი მოიყარეს მოსკოვში მყოფმა ქართველმა სწავლულებმა, მწიგნობრებმა, მწერლებმა. 1703 წ. არჩილმა მოსკოვში საფუძველი ჩაუყარა ქართულ სტამბას, სადაც 1705 წ. დაიბეჭდა „დავითნი“. მანვე დასაბეჭდად მოამზადა ბიბლია, რისთვისაც ერთმანეთს შეადარა სხვადასხვა ნუსხა და სლავური ტექსტი, შეადგინა ლექსიკონი (რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია). ბიბლიის გამოცემის საქმე არჩილმა ვერ გაასრულა, იგი ბოლომდე მიიყვანა ბაქარ ბატონიშვილმა. არჩილი მოსკოვში გარდაიცვალა და იქვე, ღონის მონასტერში დაიკრძალა.

არჩილის შემოქმედება ემყარება ქართული მწერლობის, განსაკუთრებით — რუს საეკლესიო და თეიმურაზის ტრადიციებს. ამავე დროს, იგი კატეგორიული მოწინააღმდეგეა სპარსოფილური ტენდენციებისა, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ თეიმურაზ I შემოქმედებაში გამოვლინდა. „სპარსთა ნაჭორით“, ე. ი. უცხოური წარმოშობის ფაბულებით გატაცებას არჩილი უპირისპირებს „მართლის თქმის“ პრინციპს; მისი აზრით, მწერალი უნდა ასახავდეს საქართველოს აწმყოს და წარსულს, წერდეს გამართული ქართული ენით. „მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია“, — ამყად აცხადებს ერთ-ერთ ლექსში („სამიჯნურონი“) არჩილი. თუმცა თავადაც ვერ შეძლო ამ

პრინციპის სრულად დაცვა, თავი ვერ დააღწია გაუმართლებელ რუსიზმებს.

არჩილის ამ შეხედულებებს დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა — ისინი ასე თუ ისე გზას უღობავდნენ სპარსული თემების, მოტივებისა თუ უნარების მოჭარბებას ქართულ მწერლობაში.

საგულისხმოა არჩილის გამონათქვამები მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების, ლექსის მუსიკალობის, მწერლობაში ნოვატორობის თუ ეპიგონობისა და სხვა საკითხებზე. მას ეკუთვნის ქართული მწერლობის ისტორიის პირველი მიმოხილვა: „გაბაასებას თეიმურაზისა და რუსთაველისა“ წამმდვარებული აქვს საგანგებო თავი — „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთათვის“.

არჩილის უმთავრესი ნაწარმოები — „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ — საქართველოს აწმყოსა და წარსულს ასახავს, კერძოდ, საქართველოს დიდებულ წარსულსა და თეიმურაზის მღელვარე ეპოქას. პოეტის აზრით, თეიმურაზის დროს სპარსთა ძალმომრეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქართველთა დაქსაქსულობა, პირადული ინტერესების საქვეყნოზე მაღლა დაყენება იყო. საგულისხმოა არჩილის ცნობილი გამონათქვამი: „ასე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, ვინა მცირეთა, აზვადებებიან, იტყვიან; უჩემოდ ვინ იმღერეთა“. ნაწარმოებში ავტორს ეროვნულ გმირად ჰყავს გამოყვანილი გიორგი სააკაძე, რომელმაც პირადი კეთილდღეობა სამშობლოს ბედნიერებას შესწირა.

არჩილის შემოქმედების ერთ-ერთი წამყვანი მოტივია ქრისტიანულ მორალს დამყარებული დიდაქტიკა. იგი წუხს სოფლის მსწრაფლწარმავლობისა და სარწმუნოებისადმი გულგრილობის გამო („გაბაასება კაცისა და სოფლისა“). თანამედროვეთა მსგავსად, არჩილიც მიიჩნევს, რომ ადამიანის ზნეობრივ დაცემას ზიანი მოაქვს არა მხოლოდ მისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისა და ქვეყნისათვისაც. თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი“ ჩამოყალიბებულია სრულყოფილი კაცის იდეალი, რომელსაც უნდა ასასიათებდეს განსწავლულობა, ზნეობრივი სრულყოფა და ფიზიკური გაწვრთნილობა. დიდაქტიკურ ნაწარმოებებს (დასახელებულის გარდა, „ლექსნი ასეულნი“, „ლექსნი ასნი ორმუხლნი“, „კაცს უთხარ“, „იამბიკო ლექსები“), არჩილის აზრით, საზოგადოებისათვის პრაქტიკული სამსახური უნდა გაეწია.

არჩილს ეკუთვნის სატრფიალო ხასიათის ლექსებიც („სამიჯნურონი“). მასვე რუსულიდან უთარგმნია რამდენიმე ნაწარმოები, გაულექსავს „ვისრამიანის“ ერთი ნაწილი.

არჩილის შემოქმედებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის.

იოსებ თბილელი (სააკაძე) არჩილის თანამედროვეა. იგი ქვათახევის მონასტერში აღიზარდა, იქვე აღიკვეცა ბერად. იყო ნიკორწმინდის მღვდელმთავარი, თბილისის მიტროპოლიტი (თბილელი). აქტიურად მონაწილეობდა კულტურულ ცხოვრებაში. მფარველობდა საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონერებს, თავი გამოიჩინა როგორც კალიგრაფმა და მდივან-მწიგნობარმა. დააარსა სიონის წიგნსაცავი. გადაწერა „ვეფხისტყაოსნის“ ე. ი. ზაზასეული ნუსხა. მასვე ეკუთვნის პოემის გაგრძელება (167 სტროფი).

იოსებ თბილელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან რამდენიმე ნაწარმოები შემოგვრჩა, რომელთაგან ყველაზე ცნობილია 1663—1666 წლებში არჩილის დავალებით შექმნილი ისტორიული პოემა „დიდმოურავიანი“. ნაწარმოების მიზანია გიორგი სააკაძის, როგორც სამშობლოსათვის თავდადებული გმირის წარმოჩენა, სააკაძის მიმართ წაყენებულ ბრალდებათა (ლუარსაბ მეფის დალატი) გაქარწყლება. ავტორი „მართლის თქმის“ პრინციპით ხელმძღვანელობს და, სააკაძის დამსახურებასთან ერთად, მის ნაკლსა და შეცდომასაც აღნიშნავს.

პოემაში ძლიერი ლირიკული წიაღსვლებია, ამბის თხრობას ენაცვლება მთავარი გმირის მონოლოგები. დიდი მოურავის მიერ თავისი თავის დატირება საქართველოს გამო გლოვად ჟღერს. საინტერესოა ოსმალეთის გადახვეწილი სააკაძის ანდერძიც, რითაც მთავრდება პოემის პირველი ნაწილი. ტრადიციული სახით წარმოგვიდგება ბედისწერის გაგება და სოფლის სამღურავი.

იოსებ თბილელის მიერ ოსტატურად და დამაჯერებლად დახატულმა გიორგი სააკაძის სახემ დიდი გავლენა იქონია შემდგომში დიდი მოურავის პიროვნებისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე.

ვიდრე XVI—XVII სს. მხატვრული ლიტერატურის შესახებ საუბარს დავამთავრებდეთ, ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ ხალხური შემოქმედების შესახებაც, რომელიც, ერთი მხრივ, თავად საზრდოობდა ლიტერატურით, მეორე მხრივ კი, ასაზრდოებდა მხატვრულ ლიტერატურას და მთლიანად კულტურას. XVI—XVII სს. საქართველოში

ცნობილი იყვნენ მგოსან-მომღერლები, მესტიერები, მუსიკოს-დამკრელები. იყვნენ მოხეტიალე მუსიკოსები, რომლებიც სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ეს იყო მათი არსებობის ძირითადი წყარო. თვით სამეფო სასახლეებშიც იყვნენ მუსიკოს-მომღერლები და ხუმარები. განსაკუთრებით მდიდარია სვანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ხალხური სიტყვიერება, რომელიც ასახავს ქართველი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის XVI—XVII საუკუნეებში. აღსანიშნავია ბასტიონის აჯანყების ამსახველი ციკლი.

ჩვენამდე მოაღწია ქართული ზღაპრების პირველმა, უძველესმა კრებულმა, რომელიც შეუდგენია 1670—1697 წლებში საქართველოში მყოფ იტალიელ მისიონერს ბერნარდე ნეპოლელს. კრებულში 12 ზღაპარია, რომელთა მთავარი თემაა სიკეთე და სამართლიანობა.

### III 3. მახინჯარა

**საისტორიო მწერლობა.** XVI—XVII საუკუნეებში ქვეყნის წარსულისადმი ინტერესი „ქართლის ცხოვრების“ კრებულთა გადაწერა-გამრავლებითა და ორიგინალური საისტორიო თხზულების შექმნით გამოიხატა. გადაიწერა „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. ჰალაშვილისეული ნუსხა, 1633—1646 წლებს შორის — კიდევ ერთი ნუსხა როსტომ მეფის მეუღლის, მარიამ დედოფლის ბრძანებით. ამ ნუსხებში შეიტანეს თამარის ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის შრომები, რომლებიც მანამდე ცალკე თხზულებათა სახით ყოფილა გავრცელებული.

XVII საუკუნეში შეიქმნა ორიგინალური საისტორიო თხზულება — ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ისტორია“.

ფარსადან გორგიჯანიძე წარმოშობით გორიდან იყო. ცხოვრების დიდი ნაწილი ირანში გაატარა: 1656 წელს როსტომ მეფემ, რომელიც ისპაჰანის ტარულად (მოურავად) ითვლებოდა, ამ თანამდებობაზე თავის ნაცვლად ფარსადანი გაგზავნა. შაჰი მის მოურავობაზე მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა, რაც ფარსადანმა მაჰმადიანობა მიიღო. ამ დროიდან 40 წლის განმავლობაში იგი ირანის შაჰების სამსახურში იყო.

ირანში ყოფნის დროს ფარსადან გორგიჯანიძემ დაწერა „საქართველოს ისტორია“ უძველესი დროიდან 1695 წლამდე, რომელზე მუშაობაც 1696 წელს დაამთავრა. გარდა ამისა, გადმოთარგმნა სპარ-

სული სამართლის წიგნი „ჯამი აბასი“ და შეადგინა სპარსულ-არაბულ-ქართული ლექსიკონი.

გორგიჯანიძის „საქართველოს ისტორიის“ ის ნაწილი, რომელიც შეეხება პერიოდს უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე, მოკლებულია რაიმე ისტორიულ ღირებულებას. XIV—XVII სს. ისტორია გაცილებით უფრო ფასეულია. ავტორს უხვად უსარგებლია სპარსული წყაროებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თხზულების ის ნაწილი, რომელშიც ავტორი 1635—1695 წლების ისტორიას გადმოგვცემს. იგი თავადაა აღწერილი ამბების თვითმხილველი. ამ ნაწილს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვის. ფარსადან გორგიჯანიძე, ფაქტების გადმოცემასთან ერთად, ცდილობს მოგვცეს მათი შეფასებაცა და ეპოქის დახასიათებაც. მისი ისტორია საყურადღებო მასალას შეიცავს აგრეთვე ირანის, თურქეთის, სომხეთის და სხვა მეზობელი ხალხების ისტორიისთვისაც.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „გორგიჯანიძემ თავისი მოვალეობა პირნათლად და ღირსეულად ასრულა: სამშობლო ქვეყნის ისტორიის ცარიელი ფურცლები მეტად ვრცელი და შინაარსიანი ცნობებით აავსო“.

**სამართალი.** სამართალი ყველაზე მეტადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ძლიერებასა და ხელისუფლების ცენტრალიზაციის ხარისხზე. სახელმწიფოს შესუსტება-დაკნინებასთან ერთად ძლიერდება ადათობრივი სამართლის ნორმები.

XVI—XVII საუკუნეებში, საქართველოს ერთიანი სამეფოს პოლიტიკური დაშლისა და ეკონომიკური დაქვეითების ხანაში, სამართალსაც დაქვეითება დაეტყო. ამ პერიოდში ფართო საკანონმდებლო მუშაობა არ მიმდინარეობდა, მაგრამ იგი მთლიანად არ შეწყვეტილა. ჩვენამდე მოაღწია იურიდიული ხასიათის სიგელებმა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის.

მუშაობა გრძელდებოდა საეკლესიო სამართლის დარგშიც. კანონიკური სამართალი წარმოდგენილი იყო როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ძეგლებით. დიდი მნიშვნელობა აქვს საეკლესიო კრებათა მიერ შედგენილ დოკუმენტებს. მათგან აღსანიშნავია XVI საუკუნის „საკათალიკოსო კანონები“, რომლებიც ქართლის კათალიკოს მალაქისა (1531—1549 წწ.) და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოს ევემონ I ჩხეტიძის (1543—1578 წწ.) დროს შე-

უდგენია იმერეთში მოწვეულ საეკლესიო კრებას. მკვლევლობის, ეკლესიათა ძარცვის, არაკანონიერი ქორწინებისა და სხვა საკითხთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ტყვეებით ვაჭრობასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას. როგორც ჩანს, კანონიერი სამართლის იურისდიქციაში, სასულიერო საქმეების გარდა, ზოგიერთი სისხლის სამართლის საქმეც შედიოდა.

სამართლებრივი კულტურის საერთო დონის წარმოსადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებული და პრიმიტიული სამართლის ნორმებისა და ინსტიტუტების თანაფარდობას. XVI—XVII სს. ქართულ სამართალს ახასიათებს განვითარებული სამართლის ინსტიტუტების დასუსტება. ეს, პირველ რიგში, გამოიხატა სამართლის საჯარო ხასიათის დაქვეითებაში. დანაშაულისათვის საქმის აღძვრა და სასჯელის შეფარდება კერძო პირთა სურვილით იყო განსაზღვრული. მიუხედავად ამისა, დანაშაულის საჯარო ელემენტი არსებობას განაგრძობდა. მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაულის დევნა სახელმწიფოს პრეროგატივად ითვლებოდა; განვითარებული სამართლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი — სამძებრო პროცესი კვლავ არსებობდა.

თანაფარდობა განვითარებული და პრიმიტიული სამართლის ელემენტებს შორის შეიცვალა საპროცესო სამართალშიც. XI—XII საუკუნეებთან შედარებით, მცირდება წერილობითი საბუთებისა და მოწმეთა ჩვენებების, როგორც მთავარი დამამტკიცებელი საბუთების მნიშვნელობა. უპირატესობა ფიცს ეძლევა, თუმცა, როგორც ჩანს, მას უეჭველი საბუთის ძალა არა აქვს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ XVI—XVII სს. ქართული საპროცესო სამართალი აღიარებდა პრიმიტიული სამართლის დამახასიათებელ ე. წ. „ღვთის სამსჯავროს“ — ორდალიების სისტემას. თუმცა მას ფართო გამოყენება არ ჰქონია.

როგორც ვხედავთ, XVI—XVII სს. ქართული სამართალი იცნობს როგორც განვითარებული სამართლის ინსტიტუტებს, ისე განუვითარებელი სამართლის ელემენტებს, რაც ქვეყნის მაშინდელი მდგომარეობის შედეგი იყო.

**მედიცინა.** ქართული მედიცინის განვითარება უძველესი დროიდან დაკავშირებული იყო დასავლური და აღმოსავლური მედიცინის მიღწევათა ათვისებასთან. გარდა ამისა, ქართული მედიცინა ადგი-

ლობრივ ტრადიციებს ემყარებოდა და ხალხური მედიცინის გამოცდილებით მდიდრდებოდა.

XVI საუკუნეში შეიქმნა ქართული მედიცინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი — „იადიგარ დაუდი“ (დავითის მოსაგონებელი). იგი შეადგინა დავით IX, იგივე დაუდი-ხანმა 80-იან წლებში, სტამბოლში ყოფნის დროს. „იადიგარ დაუდი“ კომპილაციური ხასიათის შრომაა, შედგენილი ორი ასევე კომპილაციური შრომის საფუძველზე. ისინი დაუდი-ხანს სტამბოლში აურჩევია სხვა საექიმო წიგნებს შორის და პირდაპირ კი არ უთარგმნია, არამედ ორი წიგნიდან შეუდგენია ერთი ქართული წიგნი, რომელშიც საკუთარი დაკვირვებები და გამოცდილებაც შეუტანია. როგორც ჩანს, დავითს სათანადო სამედიცინო განათლება ჰქონდა მიღებული. წიგნში აღწერილია ავადმყოფობის გამოკვლევის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდები, რომელთა ნაწილს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მკურნალობის საშუალებებიდან გამოყენებული ყოფილა წამლებით მკურნალობა, დიეტური მკურნალობა, ქირურგიული, კლიმატური და ფიზიომეთოდები და სხვ. წიგნის წინასიტყვაობა და შინაარსი გვიჩვენებს, რომ მას პრაქტიკული სახელმძღვანელოს ფუნქცია ჰქონდა: „თუ კაცი ასეთსა ადვილსა ავად გახდეს, რომე იქი ექიმე და შემტყობი კაცი არ იყოს... ამა წამლებითა მორჩეს. ესე წიგნი დაიდევან წინა და ამა წიგნთა უაქიმონ“, — წერს დაუდი-ხანი.

#### 4. სუროთმოდვარება. ხალონება

XVI—XVII საუკუნეებში შექმნილი სუროთმოდვარებისა და ხელოვნების ძეგლების რაოდენობა ძალიან დიდია: სუროთმოდვარული ანსამბლები თუ ცალკეული ნაგებობანი, კედლის მხატვრობა, ოქრომჭედლობა, დეკორაციული სკულპტურა, ხელნაწერი წიგნები, მათ შორის — მინიატურებით შემკული. მასშტაბითა და მხატვრული ხარისხით ისინი X—XIII საუკუნეების ძეგლებს ვერ შეედრებიან, მაგრამ ნათლად წარმოგვიდგენენ შემქმნელთა ამოუწურავ შემოქმედებით პოტენციალს.

**სუროთმოდვარება.** სტილისტური ნიშნები, რომლებიც წინა პერიოდში გამოჩნდა (ეკლექტიზმი, მხატვრული მთლიანობის რღვევა), სულ უფრო აშკარად იჩენს თავს. მკაფიოდ ჩანს პროფესიული დონის დაქვეითებაც.

XV საუკუნე, როგორც ვიცით, დანგრეულ და დაზიანებულ ნაგე-